შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 30.

ქუთაისი, დეკემბერი 25, 1908 წ.

[illegible] წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 2½ მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: აკაკის იუბილეს გამო—ივერიელ სა; სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო სობოროში 14 დეკემბერს 1908 წ. მგოსნის ა. წერეთლის იუბილეს დღეს დეკ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ—დეკ. ნ. ყუბანეიშვილისა; გურია-სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ფოთში—კირილე წუთისოფლელისა; ახალ-გაზდა ქალებს (ლექსი)—რ. საჯავაზოელისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (გაგრძელება)—ონოფრე მწირისა; სიტყვა, თქმული 2 გიორგობისთვეს 1908 წლისა თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის კურთხევის წინ—მღ. კ ციხაძისა; შეუძლებლობა სოციალიზმისა—ნაცარყანელისა; აკაკი (ლექსი) რ. საჯავაზოელისა; კვირიდამ კვირობამდე; ვარსკვლავი წმიდის სიყვარულისა—იმერელისა.

რედაქცია უმორჩილესად ითხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ჟურნალის წლიური ფასი.

ყოველკვირეულ გაზეთ „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2½ მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

აკაკის იუბილეს გამო

II.

ყოველი მწერალი იმოდენათ არის დასაფასებელი და ღირსი პატივისცემისა, რამოდენადაც იგი არის ზნეობრივი, რამოდენადაც მისი ნაწერები ზნეობრივად ყვრთნის და ამაღლებს კაცობრიობას. მხოლოდ ამ საზომით შეიძლება გაზომვა და გათვალისწინება პოეტის ღირსებანაკლულევანებისა.—თუ მას თავის ნაწერებით და მოქმედებით შეაქვს თავისი წვლილი იმ საზოგადო სალარაში, რომელსაც უწოდებენ ზნეობის ტაძარს, ზნეობრივად კაცობრიობის განვითარებას და მით თვით იგი, პოეტი, როგორც კერძო ადამიანი, მაგრამ თავის მაღალ მუნებაში მატარებელი და მერმეთ უველასაგან სულმისაწდომ ფორმით გამომსატველი იმ კეთილთა გრძნობათა და მისწრაფებათა, რომლითაც გაჟღენთილია საზოგადოება, ამ დიდრებს იმ სანეტარო ჭარმონიას, რომელიც შესდგება სხვა და სხვა გრძნობათაგან, მაშინ, ვამბობ, პოეტი არის ღირსი უღრმესი პატივისცემისა მით რომ იგი მთელ საზოგადოებაში დაქსაქსულს და დამაღლულს ღვთაებრივს გრძნობებს და მისწრაფებებს, როგორც მაღალ-მუნებოვანი, იშვიათის თვისების პატრონი, თვითონვე იკრეფს, თვითონვე იზიდავს და ამ შემოკრებილს და მიზიდულს ხატავს უველასთვის სულმისაწდომ პოეტურ ფორ-

ებით და აწედის საზოგადოებას.

აკაკი წერეთელი, რაოდენადაც გამიგია, სწორეთ ასეთი შესანიშნავი გამოჩენილია საზოგადოებისა. მის ნაწერში შორის ვერ ვიულობ ისეთ რამეს, რომელიც ჩირქს სცხებდეს ადამიანის ღირსებას, რომელიც არ ეესახურებოდეს მის ხელობრივად გაწვრთნას და აღზრდასა. ეთ ვატარა ლექსებიდგან დაწყებული ად პოემების და დრამატულ თხზულებათა დამთავრებით მისი ნაწერები გაჟღენთილია კეთილშობილურ აზრებით და მისწრაფებით. მის ნაწერებში ვერ ვპოულობთ ეროტიულს და ადამიანობის დამაქვეითებელს რასმეს და ამ სახით იგი არის არა თუ მარტო ქართველი მოღვაწე, ქართველი მქადაგებელი არამედ მსოფლიო პიროვნება, გამამშვენებელი და გამამდიდრებელი მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნებისა.

წარმოიდგინელი ასეთის მოღვაწეობისა დამოუკიდებელს საქართველოში არის გენიოსი რუსთაველი, რომელსაც ღირსეული ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მის გვერდით არავინ სჩანს. მხოლოდ იგია საუკეთესო და განმაცვიფრებლად გამოჩხატველი ქართველი ზნე-ჩვეულებისა, ქართველის ადამიანობისა და მით შესანიშნავი მხატვარი კაცის ბუნებისა საზოგადოთ. თუმცა მის შემდეგ გამოჩნდენ პოეტები, ოგრამ მათ ნაწერებში ხშირად ხედები ეროტიულს სურათებს, რადგანაც მათი ნაწერი [illegible] სხვა ასეთის ეროტიული პოეზიის გავლენის ქვეშ. მხოლოდ დავით გურამიშვილი ერჩევა მათ და იჭერს საკუთარს ადგილს; იგი უფრო გადაჭარბებით ეჭიდება კაცობრიულ გრძნობების გამოთქმას და ეს იმიტომ რომ იგი იყო თავის წინამორბედებზე, გარდა რუსთაველისა, შესანიშნავი და მდიდარი ბუნების ბატონი, იგი იყო ნამდვილი პოეტი, თუმცა „ქაცვია მწყემსში“ მასაც ეტყობა გავლენა ეროტიული პოეზიისა.—მის დროს ცხოვრობდა ბესიკი, მაგრამ მისი ნაწერები იმ იდენად დაბალ ხდგას გურამიშვილის ნაწერებზე, რამოდენადაც თავისი ბუნებრივი ნიჭით და მისწრაფებით პირველი უკანასკნელზე.

დამონებულს საქართველოს მწერლებს თან და თან ეტყობა გაუძაბესობა, მსოფლიო მისწრაფებანი, კაცობრიული გრძნობანი. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი მისწრაფების ბელადი არის ნ. ბარათაშვილი, ეს ძლიერი ალმაფრენით და მდიდარი პოეტური გრძნობებით, გენიოსი ახალგაზდა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ და საკვალალოთ ადრე დაღუპული და ჩამქრალი... ვინ იცის, როგორ თავს გამოგვაბამდა იგი, რომ ეცოცხლა? ვინ იცის, როგორ სახელს მოგვიხვეჭდა ქვეყანაზე მისი ქნარი?!..—თუმცა ადრე გარდაიცვალა იგი, თუმც სულ ოცდარვა წლის გენიოსი დაგვეკარგა, მაგრამ, როგორც იგი ამბობს, „გზა უკვალი მისგან თლილი“ მაინც დაგვრჩა; და ამ ნახევრად გათელილს გზაზე, თუმცა ჯერ კიდევ საშიშ და საფრთხილო მოედანზე დაიწყეს

მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა მნათობებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ამ გზაზე და ამ მდგომარეობაში აღიგზნო ბუნება აკაკისა პოეტური აღმაფრენით და გამოსთქვა კიდევაც „ენება თავის გულისა“ ამაუათ და მედიდურად მფრინველმა პოეზიის სამთავროში, ისე ამაუად და თავისუფლად როგორც მფრინველი შორს ცის ლაჟვარდში მონავარდე.

ახალი, გამარუსებელი პოლიტიკა, ავტარისად მოევლინა საქართველოს. შეხედულებით ბრწყინვალე შიგნი შხამით და ნაღველით იყო სავსე, როგორც ამბობს თვითონ აკაკი: „მაგ შარბათში სამსალას სვამ იცოდე“. ეს პოლიტიკა მტრულად დაეტაკა ქართველის მაღალ, ქრისტიანულ ზნეობას, ქართველის ადამიანობას და თავისებურობას და ასეთი ბრძოლა დღესაც მედგარია და საშინელი!!—მიზანი ასეთის პოლიტიკისა იყო და არის ზნეობრივად დაცემა ქართველის ერისა და ამ გზით მოსპობა და სრულიად დამონება მისი,—თუმცა ერთის შეხედვით უწინარი სკოლაში და მოქალაქობრივ ცხოვრებაში, მაგრამ დაკვირვებული მეთვალყურისა და ჭირისუფლისათვის თვალსაჩინო და გულსაკლავი!! ამ გარემოებას იმ თავითვე მიაქცია ყურადღება აკაკი წერეთელმა, როგორც მგრძნობიარე პოეტმა და თავდადებულმა მამულიშვილმა და აგრძნობინა კიდევაც მტერსაც და მოყვარესაც სიწამხდრე და უწმინდურება ასეთ პოლიტიკისა... აკაკიმ შესანიშნავ ხელოვნებით გამოსატა მამულისადმი სიყვარულის გრძნობა ქართველისა, მისი ლტოლვილება მამა-პაპათაგან გადმოცემულ მეირფეს ზნე-ჩვეულებათადმი. უსაზღვრო არის აქ პათოსი პოეტისა, მომხიბლავია აქ გრძნობანი მკოსან მომღერლისა და ეს არის იმის მიზეზი, რომ პოეტის ყოველივე ლექსსა და სიტყვაში მკითხველი გრძნობს თავის გრძნობების და თვისთა მისწრაფებათა გამოხატვას.

ნეტავი ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარა,
რომ ჭიკჭიკით გამოვსთქვა
ენება ჩემის გულისა;
ენახო ჩემი სამშობლოს
ბედნიერება ჩქარა
და ვიმღერო სიმღერა
შორის გაზაფხულისა!

აი აღმაფრენა, რომლითაც ატოკებს ავტორი მკითხველის გულს?! ასეთი ამბრების მქადაგელი და გრძნობების გამომხატველი აკაკი წერეთელი მებრძოლია უკუღმართ გარემოებასთან და მებრძოლი არა ერთდროებითი არამედ მრავალქამიერი.

მხოლოდ იმას შეუძლია იბრძოლოს დამჩაგვრელ ძალებთან, ვინც მაღალის ზნეობით არის შემკობილი, ვისი სინიდისიც სუფთაა და სპეტაკი, ვისაც მარადქამს ახსოვს თავისი ადამიანური მოვალეობა ყოველგან და ყველასთან. ზნეობრივი ვალი პოეტის შეხედულობით ძლიერია, მის წინ თავს უნდა იხრიდეს ყოველივე მისწრაფება ხორციელებისგან გამოწვეული. ასეთს ურთიერთობას ზნეო-

ბლიეი ვალის და გრძნობებისას ასე ხა-
ტავს აკაკი თავის «სიზმარში» როდესაც
ეი მლერს თამარსა და რუსთაველზე:

... მასაც მგოსნის თანაგრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი როგორც დედოფალსა!

დიახ, ზნეობრივი ვალი იძულებულად
ადამიანს ყოველივე ჰირადი, კერძო
ინტერესები დაუტეოს, დაივიწყოს და თვით
უწიკვლო, მანათობელი როგორც წმინ-
და სანთელი, იყოს ცხოველი სარკე ადა-
მიანურის ცხოვრებისა, კაცურის ღირსე-
ბისა. წმინდა კავშირი ასეთ გრძნობათა
ეს და შექმნას სიყვარულმა, მაგრამ ქვენა
ინტერესებით და გრძნობებით გამოწვეულმა კი
არა, არამედ მაღალმა სიყვარულმა, ღვთა-
ებრივმა ზეშთაგონებამ, რომელიც მხო-
ლოდ აღამაღლებს ადამიანს ღვთაებამდე,
რომელიც იხსნის მას ყოველივე მწიკვლი-
საგან და ზეციურის მშვენებით შემკობილს
და გაბრწყინვებულს უმეტესად აბრწყინ-
ვალებს წინაშე კაცობრიობისა. ასეთი სი-
ყვარული აღამაღლებს ადამიანს და მასში
დამალულს ცოდვით შემკრთალ ბუნებას
ბენის ძლევა-მოსილად; მაგრამ ესთქვათ
ისევ აკაკის ჰოეზიის მომხიბლავ სიტ-
ყვებით, რომელნიც გაბნეულია ლექსში
«ქებათა-ქება:»

... და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვსცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!..
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!..
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო,
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!..
შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ
ცილს გწამებს,
და შენს მაგიერ შენის სახელით
ის აღიარებს პირუტყვულს წამებს!..

ღვთაებრივი სიყვარული, და არა ბილ-
წი გრძნობებით გამოწვეული, ძლიერია;
მის ძლიერებას ვერ დასძლევს ვერა რო-
მელიმე კერძო სიყვარული მამაშვილური
იქნება იგი, ცოლქმრული თუ კერძო მე-
გობრული. შვილისადმი სიყვარულის
გრძნობა ყოველივე მწუხარებას და გა-
ჭირვებას ავიწყებინებს დედას, მაგრამ იგი-
ვე სიყვარული მტკიცე და სრული, წმინ-
და და ზენაარსი ზნეობრივ ვალთან შე-
კავშირებული თვით მშობელს დედას ავი-
წყებინებს თავის ჰირმშოს, სტოვებს ჰი-
რად ანგარიშებს და იხედება იქით, საით-
კენაც იზიდავს მას ადამიანური მოვალე-
ობა.

როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკლი
ქვეყნისა მსხვერპლად გამომიზდია
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სეხი და ვალი!...

ალაბარაკეს მგოსანი ასე ადამიანუ-
რის გრძნობებით აღსავსე საქართველოს
დედოფალს დრამაში „ჰატარა კახი“ და
ნეტარება ჰოეტს, რომელსაც თვალით თუ
არ უნახავს ოცნებით მაინც წარმოუდგენია
ასეთი სასიქადულო ქალი, რომელზედაც
უთითებს თავის მკითხველებს!!...

სირცხვილით გაწითლდებიან,
თუ იქ წამოცდათ ქართული...

—

საკბეს თუმნათ შოობენ,
თუმანს აძლევენ მკერავსა;
ჭრა-კერვას რათ არ სწავლობთო,
მათ ვერვინ გაუბედავსა.

—

ნამდვილს დედობის ზნე-წესსა,
სულ არა სწავლობს არც ერთი...
მხოლოდ, რომ კაბა ბატინკი,
შლაპა, პუდრი და კარსეტი...

—

ზოგ-ზოგი, ვითომ სწავლისთვის
კურსებზე მიდის ცქრიალა,
სწავლა ფეხებზე ჰკიდია,
თუ ვინმემ წააბწიალა.

რ. საგვანოელი

პირველი ფურცელი ბიბლიისა.

(პროფ. ბეტეკსისა)

(გაგრძელება*)

ხმელი და ზღვა.

და სთქვა ღმერთმან, შეკრბიდ წყალი ქვეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა და გამოსჩნდინ ხმელი და იქმნა ეგრეთ და უწოდა ღმერთმან ხმელსა მას ქვეყანა და შესაკრებელსა უწოდა ზღვებ და იხილა ღმერთმან რამვთუ კეთილ.

რას გვასწავლის ეს სტრიქონები? რომ დედა-მიწის ზედა პირი ოდესმე იყო სწორი და ერთიანად წყლით დაფარული და მხოლოდ შემდეგ აიმართნენ მთანი და ჩაიწია ზღვის ფსკერი. რას ამბობენ ამის შესახებ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი? სრულიად ეთანხმებიან ბიბლიას იმის შესახებ, რომ დედამიწის ბურთი პირველად მთლად წყლით იყო დაფარული და მთები და ხმელეთი შემდეგ გამოჩნდნენ. როგორ მოხდა ეს? ამაზე ბუნებისმეტყველნი ამბობენ: „დედა-მიწა პირველად დიდს გახურვებულს და თხელ-ცეცხლებრივ ლითონთაგან შემდგარ ბურთს წარმოადგენდა"; როგორც დღესაც ვხედავთ, რომ ყველა ქვათა გროვა დედა-მიწაზე შეიცავს რომელიმე ლითონების ჯანგის—გვარს რამეს; თითქმის თიხაშიაც, რომლიდანაც კეთდება ჩვენი აგური, ბლომათ არის ლითონი, რომელიც თითქმის ვერცხლივით გამოიყურება, მაგრამ მაზედ დიდათ უფრო მსუბუქია. როცა გახურვებული დედა-მიწის ბურთი ცოტ-ცოტად ცივდებოდა, მის ზედაპირზე ბუნებითად ჩნდებოდა ქერქი. ეს ქერქი თან-და-თან სქელდებოდა, იკუმშებოდა და ნაოჭდებოდა სწორედ ისე, როგორც ნაღები ცხელ რძეზე გაცივების დროს. აი ეს ნაოჭები დედა-მიწისა შეადგენდა კიდევაც პირველ მთებს. ამისთვის ბიბლიაში არ არის ნათქვამი: „ღმერთმან შექმნა ხმელი", არამედ: „გამოჩნდინ ხმელი." ამას ბუნებითად მოყვა წყლების შეკრება ღრმა ადგილებში, ამგვარად შესდგა ერთის მხრით ხმელეთი, მეორეს მხრით კი ზღვა. ამგვარად, აქ, დედა-მიწის შექმნის ისტორიიდან ერთს უმთავრეს მოთხრობაში, ვხედავთ სრულს თანხმობას მეცნიერებისა ბიბლიასთან. მაგრამ ყველა ეს საქმე თავის თავად როდი მომხდარა, როგორც ამტკიცებენ ღვთის ვარისმყოფელნი. არამედ ღვთის შემოქმედებითი სიტყვით. რომ არ წარმოეთქვა მას ეს სიტყვა მესამე დღეს დედა-მიწა დღემდიც უდაბური და უსიცოცხლო დარჩებოდა და აღარც მთები გამოჩნდებოდა. ღვთის სიტყვა ბრძანება იყო, რომ ყველა ძალას, რომელიც წყალთა ზედა მმეფობ სულისა მიერ ღვთისა მიენიჭა ნივთიერებას, განეგრძო მუშაობა წინასწარ განჩინებულ გეგმით და დედა-მიწას წარედგა შემდეგი ნაბიჯი თავის განვითარებისა. ანგელოზებს ესმოდათ ეს შემოქმედებითი სიტყვები, მაგრამ ჩვენ რომ იმ დროს ეყოფილვიყავით დედა-მიწაზე, როგორც ცოდვილი ადამიანები, რასაკვირველია ისე ნაკლებად გავიგონებდით მათ, როგორც ახლა, როცა ღვთის ბრძანებით ქარიშხალი და ქუხილი გადაუარს დედა-მიწას, ან როცა მიწის ძვრას მიაქვს ათა-

*) იხ. „შინ. საქ." № 27.

ობით მსხვერპლი. ბრმა ქვეყნიერი ჯერ კიდევ მა-
მინაც შემოქმედების ყოველ გამოჩენაში ვე-
რაფერს დაინახავდა. გარდა ბუნების ძალთა
მოქმედების ბუნებითი განვითარებისა, როგორც
ამართებათ დღესაც ნასწავლ და უსწავლელ
ბერებს, რომელნიც არ იცნობენ ღმერთსა.

ჭეშმარიტად დიადი ქმნილებაა ღვთის ხელ-
თა ეს „მთანი უფლისანი“, როგორც მათ უწო-
დებს საღმრთო წერილი, ვინაიდგან იგინი გან-
საკუთრებითად მოწმობენ შემქნელის ძლიერება-
სა და დიდებას. თითქმის არა დიდად მაღალ
ქთის სიდიდეს, მის შემადგენელ ათასობით მი-
ლიონ ფუტ მიწა და ქვას ჩვენ ვერც კი წარ-
მოვიდგენთ. ვინც იცნობს ალპებს, ვისაც გა-
მოუცდია ძნელი აღსვლა უზარმაზარ მთების
ჭწვერვალებზე და იქიდან უნახავს თავის ფერხთა
ქვეშე მიწა, ვეებერთელა ტყეები პაწია შავ
წერტილების სახით, მდინარეები ვერცხლის ძა-
ფებივით, მას შეუძლია რაოდენადმდე წარმო-
იდგინოს, რა არის მთა. ცნობილი ინგლისე-
ლი მწერალი მოგვითხრობს, რომ მან პირვე-
ლად იცნო ღვთის დიდებულება და ძლიერე-
ბა, როცა მოიწადინა თავის მამულში პატარა
ბორცვის გადაღება, როდესაც ნახა, თუ რო-
გორ მრავალი მუშა დღითი-დღე ეზიდებოდა
ურმით მიწას, ბორცვი კი მაინც არ იკარგე-
ბოდა და როცა წარმოიდგინა სიმაღლე და
სივრცე მრავალ ათას ვერსის მანძილზე გაჰი-
მულ ღრუბელთამდე ატყორცნილ მთათა ქე-
დების, როგორც ალპნი და გიმალაი
ანუ ანდნი ამერიკაში, მაშინ მიხვდა, რო-
გორ მცირეა ადამიანი და რავდენად დიდია
ღვთის საქმე.

რა ნაირი სანახავი იქნებოდა პირველ მთე-
ბის გამოჩენა! დედა-მიწის ზედაპირი ალმა იწვე-
და და ძირს ეშკებოდა ზღვასავით, იხსნებო-
და და სქდებოდა და ნაპრალთა და ათასობით
ცეცხლთა მფრქვევ ადგილთაგან ამომდინარებ-
და უზარმაზარი სიზრქე ნაცარ-ლაფისა, ე.—ი.
დადნობილ ლითონთა. დღემდი კიდევ მოწ-
მობს ამას მრავალი მთა, უეჭველია, ამგვარის
შედეგებისაგან წარმომდგარი; აგრეთვე ყველა
ჯუთასი დღესაც მოქმედი და ათასობით ჩამ-
ქრალი ცეცხლ-მფრქვეველი მთები. ავიღოთ,
მაგალითად, ვეებერთელა სივრცეზე გაჰიმული
ანდთა ჯაჭვი თავის მრავალ ცეცხლ-მფრქვე-
ველ ხვრელიანად. ეს მთათა ჯაჭვი სხვა არა-
ფერია, გარნა ნაჭდევი, ასე ვსთქვათ, ოდესმე
დედა-მიწის ქერქის ფრიად გახეთქისა, საიდა-
ნაც, მსგავსად ჩაჭრილ ნაყოფის წვენისა, ამომ-
დინარებდა ღვართქაფი, რომლისგანაც გაცი-
ვებისადაგვარ შედგა მთები. ამისთვის მეფსალ-
მუნის სიტყვები, რომ „მთანი ვითარცა ცვი-
ლი დადნეს პირისაგან უფლისა“ (ფს. ჟვ.),
უბრალო პოეტურ სიტყვის საქცევი არ არის.
ეს მთათა გამოჩენა დღესაც ხდება; ახლაც კი-
დევ, თუმცა არა ეგზომ დიდებულ ზომით, რო-
გორც პირველად იყო, „აღვლენან მთანი და
შთავლენან ველნი ადგილსა მას, რომელსაცა
დააფუძნე იგინი“ (ფს, რგ. ც,). ასე. 1707
წელსა ხმელთა შუა ზღვაში ვიწის ქვეშეთის
ცეცხლის მოქმედებით, კუნძულ სანტარინოს
მახლობლად, გამოჩნდა ახალი კუნძული, გარ-
შემო ხუთი მილის მექონი და ზღვის თარაზო-
ზე ორმოც ფუტით ამაღლებული. ამგვარად
მრავალრიცხოვანი კუნძული წყნარ ოკეანში
სხვა არაფერია, გარნა ნელად და თან-და-თან
ზღვიდან ამომავალი კრატერები (ცეცხლ-მფრ-
ქვევი მთის გვირაბი) ძველ ცეცხლ-მფრქვეველ
მთათა.

29 სეკტემბერს 1734 წ. მექსიკაში, მა-
შინ როცა მიწის პირი ძლიერ ძვრისა გამო
მღელვარე ზღვასავით ირყეოდა, ერთის დღის
განმავლობაში გამოჩნდა მთა, რომელმაც და-
ფარა ოთხი კვადრატი მილი და 1600 ფუტის
სიმაღლეზე აიწია, იმ დროს როცა გარშემო
მიწიდან ალი ამოხეთქდა. ეს მთა, ი ო რ ულ ად
წოდებული, არის დღესაც და ჯერ კიდევ მის
მწვერვალიდან ნაცარ-ლაფი ამოდის. იმაზე
თუ როგორ „შთავლენან ველნი“, შესაძლო
იყო ოცი წლის წინეთ ყველა გაზეთებში წა-
გეკითხათ. იმ დროს ი ა ვ ა ს მახლობლად თით-
ქმის მთელი კუნძული მაღალ მთიანად ზღვა-
ში იძირებოდა ზარდამცემ ჰექა-გრგვინვით და
ნაცრის წვიმით, რომლის გამო მზე სამი დღე
დაბნელებული იყო.

თუ კი გაჭრობა და გამოჩენა შედარებით
მცირე მთისა ასე საშინლად და დიდებულად

ხდება; თუ ერთს პატარა ცეცხლ-მფრქვევ მთას, როგორც ვეზუვია, შეუძლია თავისი ნაცარი აფრიკის ნაპირებამდი ისროლოს, თუ ცეცხლ-მფრქვეველ მთას შეუძლია გარშემო რამდენიმე ასი მილის მანძილზე შეანძრიოს დედა-მიწა და ბნელში გახვიოს, მაშ რა საანახავი იქნებოდა, როცა მესამე დღეს ღვთის სიტყვითა და ბრძანებით მთელმა ხმელეთმა ამოყო თავი წყლიდან ათასობით ცეცხლ-მფრქვევ მთებით, და უზარმაზარი მთები და მთათა რგოლნი „ხლტოდენ, ვითარცა კრავნი“! რანაირს კვამლ-ალის სქელ სუდარაში გახვეული იყო დედა-მიწა ამ ცეცხლისა და წყლის დეკ-გმირულ ბრძოლის დროს! ნამდვილი სახე იმ დღისა, როცა იგი ყველაფრიანად დაიწვება ცეცხლში. დიაღ, მთები საკვირველი და დიდებული ქმნილებაა ღვთისა, რომლისათვის ფსალმუნი დაუღალავად აქებს მათს სილამაზესა და დიდებულებას. ღმერთმა აკურთხა მათი მწვერვალნი; ამაყად და მაღლად, ხშირად საუკუნო თოვლის საუცხოვო შესამოსელში ამაღლებულნი არიან იგინი გასვირვალე ჰაერში კაცობრივი ცხოვრების წვრილმან და უმნიშვნელო ამოებაზე.

მთაზე აბრაამს უნდა შეეწირა მსხეერპლად შვილი; მთაზე, სინას დიდ-მშვენიერ მწვერვალზე, გადმოვიდა ღმერთი, როცა მისცა თავის ერს შეცნება; მთაზე გარდაიცვალა მოსე და დაიმარხა თვით ღვთისა მიერ; მთაზე ილიამ შეკრიბა ისრაილი და ჩამოიყვანა ცეცხლი ზეცით; მთაზე ქრისტემ იქადაგა, მთად აღვიდა სალოცავად; მთაზე იცვალა ფერი და მთიდან ამაღლდა ზეცად; მის მეორედ მოსვლის დროს „ფერხნი მისნი იდგებიან მთასა ზედა ზეთის ხეთასა“ (ზაქარ. 14, 4). რა იქნებიან საუკუნო მთანი ოდესმე სამოთხეში, და ახალ დედა-მიწაზე, რომელთადმი დავითი უკვე აღაპყრობდა თვალებს?... მთას, ამ ბრწყინვალე სიმაღლეს, ეპირდაპირება ზღვა, საიდუმლო ბნელი სიღრმე, ოდესმე მთელი მიწის მფარავი. უკვე საიდუმლოა ის, თუ რისთვის დაფარა ღმერთმა წყლის უშენ უდაბნოებით ორი მესამედი ადამიანის სამყოფად განჩინებული დედამიწისა. წვიმათა რაოდენობის უზრუნველყოფა ხომ სხვა საშუალებითაც შეიძლებოდა. ასევე საიდუმლოა ზღვის ურიცხვ მცხოვრებთა ქვეყანა. „ესე ზღვა დიდი და ვრცელი, მას შინა არიან ქვეწარმავალნი, რომელთა თანა არა არს რიცხვი, მხეცნი წვრილნი დიდთა თანა; მას ზედა ნავნი ვლენან, ვეშაპი ესე რომელ დაჰბადე სამღერელად მისა“ (ფს. 103, 25—26), და უფრო მეტ სიღრმეზე, ყინულიან უფსკრულში, სადაც ვერ ახწევს ქვეყნის გუგუნ-ხმაურობა, საუკუნო ბნელში, (სამასი მეტრის სიღრმეზე უკვე სინათლის ვერც ერთი სხივი ვერ უწევს), ათასწლობით ცხოვრობენ მილიონნი ცხოველთა, რომელთაც ჩვენ ვერ ვიცნობთ, მათ დანიშნულებას ვერ ვიგებთ, რომელთაც არასოდეს და არაფერში არ ეხება ცხოვრება, საქმენი და ზრუნვანი კაცობრიობისა, ხალხთა და მათი სამეფოებისა. ძლიერი ყოველის შთანმთქმელი უფსკრული—ეს ზღვაა! თავის იქცევისის მიმდინარეობით ერთის პოლიუსიდან *) მეორემდი და წინაუკმო, იგი, მსგავსად უზარმაზარ მდინარეთა, რეცხავს ხმელეთის ნაპირებს. ერთ დროს მან შთანთქა მთელი კაცობრიობა და მთელი წარღვნის წინანდელი ცხოველები, როგორც მეწამულ ზღვამ ფარაონი მის ცხენებითა და ეტლებითურთ. ყოველწლივ და თითქმის ყოველდღე ქარ მის პირის ქვეშ მთელი გემები ბარგითა და მგზავრებით, საუკუნოდ! რა გინდა რომ არ იყოს ამ უფსკრულის ძირზე! მრავალი ჩონჩ გემებისა, ოქრო და ძვირფასეულობანი ადამიანთა ნაშთნი!

როგორც მთა ესაბამება სულის ნათლისკენ მიზიდულობას, აგრეთვე ზღვა—მის ჩავარდნას ცთომის უფსკრულში, სადაც ღმერთი ვერ რემიაქცევს ჩვენგან თავის პირსა და სინათლესა და იგი (სული) ამბობს ვითარცა იონა: „განმაგდე მე სიღრმეად მიმართ გულისა ზღვისა და მდინარეთა მომიცვეს მე; ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენი ჩემზედა გადადახდეს... და აღმოვედინ ხრწნისაგან ცხოვრება ჩემი შენდამი უფალო ღმერთო ჩემო“ (იონ. 2, 4—7).

ასე ქრისტე, ფერცვლილი მთასა ზედა

*) პოლიუსი—დედამიწის ღერძის ჩრდილო და სამხრეთ თავები.

თამბორსა, ჩავიდა ჯოჯოხეთში ცოდვათა ჩვენთათვის. „რამეთუ ვითარცა იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ—ღღე და სამ—ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისა გულსა ქვეყანისასა სამ—ღღე და სამ—ღამე“. (მათ. 12, 40). როცა ყოველივე დაფარული გამოცხადდება უკანასკნელ განსჯის დიად საყდრის წინ და „ზღვა მოსცეს მას—თანა მკვდართა“, მაშინ წარსდგებიან მილიონნი ადამიანნი წარღვნის მიერ შთანთქმულნი, მკვდარი ფარაონი თავის ჯარით და ზღვაში დამღრჩალთა დასები წარსდგებიან თავიანთ ტანჯვითა და ცოდვებით სინანულზე, განსასჯელად....

ახალ დედა-მიწაზე, რომლის დიდ—შვენიერება ჩვენთვის ახლა აუწერელია—ზღვა უკვე ალარ იქნება (ადამოცხ. 21, 1) მთელ მის პირზე ბრიალებენ ნეტარნი.

ონოფრე მწირი.

(შემდეგი იქნება)

ტუვა, თქმული 2 გიორგობისთვეს 1908 წლისა თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის კურთხევის წინ.

დღეს ჩვენ შეკრებილვართ, საყვარელნო, იმ მიზეზით, რომ შეკუკვდროთ მაშ ზეციერს შობილ-განმზადებული სამუსიკო სკოლა თბილისის ფილარმონიულის საზოგადოებისა, ის ადგილი, რომელშაც უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს ნაში მუსიკის ეროვნისაკენ დარგის ცოდნა—შესწავლა—ბერეულებას. შართალია, იმაკე საქმეს ეს სანია ემსახურება ჩვენში რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოებას თბილისის ფილიალების სასწავლებელი, მაგრამ ადგილის ფართობის გამო ხსენებული სასწავლებელი ყველა სწავლის მსურველთ ვერ აკმაყოფილებს. ხოლო ბავშვის სული ა და გულის განმაფაქიზებელის ბუნება ბავშვებისა ბუნება ბავლობა საიმედოა ბავშვ ჩვენს დროს და ჩვენს სალხს ფრიად ეარგება, ვინაიდან, დროთა ვითარება გამო, ეს მოცალეულის საქმეა: ასწავლეთ და ძალ-ღონე ადეთ თავთა თქვენთა ფსალმუნთა და გალობათა, და შესხმათა სულიერთა (კოლ. 3, 16) უმრავლესობისათვის გაუგებარი შეიქმნა. საუბედუროდ, უმეტესობამ ჩვენს ქვეყანაში შეისისხლ—ხორცს ერთგვარი მუსიკა—სიმღერა, რომელიც, სატანურ-ურ ფსალმუნთ—შეგალობელისა შეშვენის მხოლოდ მათ, ვინც სმიდეს ღვინოსა (68, 12)....

გაუფიხარეთ, მაშ, ამ ახალის განმანათლებელ დაწესებულების შობისათვის, წრფელის გულით შეკუკვდროთ იგი უფალს და გსთხოვოთ ეროვნულ—სასიერს, რომ მოჭსედოს სკოლასა ამას მოწყალე თვალით, ნაყოფიერ და მრავალჭყოს დღენი მისნი, განამხნეოს და განამლიერეს მუშაკნი მისნი, განამტკიცოს მათ შორის ერთ—სულოვნობა და დაწყებულის საქმისადმი სიყვარული, და ჩვენც შეგვასწროს ამ დროს, ოდეს მათ მიერ დაარსებულის სკოლის მეოხებით ეროვნნი ეშეგალობდეთ უფალსა მეცნიერებით (ფსალ. 46, 7). ამინ.

მღვდ. კ. ციბაძე.

შეუძლებლობა სოციალიზმისა.

ქარი მეოთხე.

ორგანიზაცია წარმოებისა.

§ 1. გადასვლა საწარმოო იარაღისა საზოგადოების საკუთრებად.

(კატრეინიდგან).

(გაგრძელება.*)

სოციალისტებს უნდათ, ეგვლა საწარმოო იარაღი, ეკვლა „წარო ცხოვრებისა“, როგორც ამბობს მარქსი, არა მხოლოდ მიწა, არამედ აგრეთვე ფაბრიკები, მანქანები, შეუმუშავებელი მასალა, ხელსაწყო იარაღი გარდაქმნიან საზოგადოების საკუთრებად. მხოლოდ მოს-ხმარი საშუალებანი უნდა იყვნენ კერძოდ სასარგებლოდ, როგორც ყოველდღე ნამუშაკარსათვის.

1. როგორ უნდა მოხდეს თანამედროვე საზოგადოების გადასვლა სოციალისტურად? კერძოდ, როგორ მიეცდეთ საწარმოო იარაღის გადასვ-

ლას კერძო მფლობელთა ხელიდან კოლექტიურ უფლებაში? უცადოთ, ვიდრე ეკლა ეხლანდელი მფლობელები ვარს იტუკვან თავანთ უფლებაზე საზოგადოების სასარგებლოდ? მაშინ საუკუნოდ ცდა მოგვისდება. ამიტომ ეკლა სოციალისტები თანასმანი არიან ერთმანეთ შორის შესახებ იმისა, რომ პროლეტარიატი, ჩაიგდებს თუ არა ხელში პოლიტიკურ უფლებას, რამე ენერგიული საშუალებით უნდა ეცადოს მოახერხოს საწარმოო ურთიერთის გასაზოგადოებრივობა. ზოგიერთა მათგანნი ეხლაც შესაძლებლად სთელის ძალას მიმართონ. მათ სურთ დაჩქარონ გასაზოგადოებრივობის პროცესი და მიაღწიონ თავის მიზანს, რაც შეიძლება მოკლე ხანში მახვილით და სისხლით. თუ სოციალიზმს გამარჯვების იმედი აქვს, მაინც დაბოლოს საჭირო გახდება რევოლიუციის მიმართოს. „ძალით წამართმეანი ძალითვე წართმეულ იქნებიან“. თქმა ამისი ადვილია, ხოლო ქმნა კი როგორია? ეხლანდელი მესაკუთრენი ნამეტნავად სოფლებში, არ აიღებენ განა ხელში იარაღს, რომ ძალობაზე ძალობითვე უპასუხონ? იქნება სოციალიზმს დასჭირდეს მიმართოს გილიოტინას და გადასასხლებას, რომ ენერგიული ზომებით ჩაქროს წინააღმდეგობა?

ამობაში, მომეტებული ნაწილი სოციალისტებისა, საკვარიოდ მაინც, უარეოფენ სისხლიან რევოლიუციას. ბაბერგში. 24 ენკ. 1902 წ. ბებელმა განაცხადა: შორს გაუჭირეტლობა იქნება, თუ თქვენ გეტუკვიან, რომ ს. დემოკრატების სურთ აწინდელი საზოგადო წყობილების შეცვლა ძალმომრეობითო.

მაგრამ იმითა, ვინც უარეოფს ძალმომრეობას, ლენა და სხვა აზრებია შესახებ იმ ხიდისა, რომელსაც მიეკუკვს ალთქმის ქვეყანაში. ეგრეთწოდებულ ორთოდოქსებს, მტკიცე ხარისხის მარქსიტებს, როგორც ბებელი, კაუტსკი და სხ. იმედი აქვთ ახლო მომავალში შესაძლებელი კატასტროფისა, თანამედროვე საზოგადოების ძალე დაშლაგრეგისა; ზოგს იმედი აქვთ შეკვე დიდი ხნის წინასწართქმული უშველებელი კრიზისებისა, რომლებმაც უნდა უთავბოლოდ არიეგ-დარიონ საზოგადოება; ზოგს კიდევ—ეკლა პროლეტარების დიდებული გაფიცვისა რომელიც შეაჩერებს აწინდელს წარმოებას თანახმად ცნობილი წარმონათქვამისა: „ეკლა თვლები უძრავად იდგნენ, ვიდრე ეს უნდოდა შენ ძალიერ ხელს!“ ამ სიჩუმის, ანუ სიოსის დროს, სოციალიზმი ხელთ იგდებს წარმოებას და „გაკეთებს სუფთა ფიცარს“.

ჩქარა გაკოტრების მომხრეებს როგორც ზემოთ ნათქვამია ეკუთნის ბებელიც, რომელმაც ერფურტის სეიმზე 1891 წ. იწინასწარმეტყველა ამ გაკოტრების მოსვლა წარსული საუკუნის დამლეკს.

„აკერ თითქმის ოცდა-ათი წელიწადია, რაც ჩვენ ს. დემოკრატულ აკიტაციას კეწეკთ; ამ დროს განმავლობაში იმას მივაღწიეთ, რომ ეხლა ჩვენ უძლიერესი პარტია ვართ გერმანიაში. თუ ეხლა ჩვენ ვხედავთ რა დიდი ცვლილება მოხდა ამ დროის განმავლობაში ეკონომიურს და პოლიტიკურს მხარეებში, როგორ სასოწარკვეთილებას მიეცნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი და არ იცვან რა ქნან; თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ეკლა დამოკიდებულება ისე კეთარდება, რომ არც ერთს ჭკუაზე კაცს არ ექმნება ეჭვი, რომ სამე ამ რიგად დიდს ხანს კედარ გასტანს და რომ, ამის გამო, კატასტროფა მხოლოდ დროს საკითხია, მაშინ არა თუ სრულიად ბუნებრივია, არამედ აუცილებელიც არის ის, რომ მოვლენ იმ დარწმუნებამდე, რომელიც მე მაქვს და რომელსაც ვამბობთ. მე არ ვამტკიცებ, რომ ძალიან გამეხარდა, როცა ჩემმა მეგობარმა ენგელსმა თვის ცნობილს წერილში „სოციალისტ“-ში, რომელიც ჩვენმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს, გამოსთქვა იმედი, რომ ცვლილება მოხდება 1898 წელსო. ფოლმარმა ამაზე დაცინვა დაიწყო, მაგრამ მე ვწერდი ენგელსს: მოხუცო, მე და შენ, მხოლოდ ჩვენ ორნი „უმაწვილები ვართ ჩვენს პარტიაში“ თქო

ამაკე პარტიულ სეიმზე ბებელი, ამაზე უფრო წინ, ამბობდა: „მე ვაცხადებ, რომ აღსრულება ჩვენი საბოლოო მიზნისა ისე ახლოა, რომ მხოლოდ მცირედნი აქ მოთუთაკანნი, ვერ მოესწრებიან ამ დღეებსო.

ამობაში 1898 წელიწადი დადგა და გავიდა კიდეც, ჩვენ უკვე ახალს საუკუნეში გადავედგით ფეხი, მაგრამ სად არის კატასტროფა, სად არის მომავალი სოზოგადოება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბებელი ამგვარს სიტყვებს ბრბოს აუბნევა მისაზიდველად, მისთვის, რომ ბრბოსთვის პარლამენტარიზმის გზა ნელი გზაა და იგი იმუქრება „ახალ

„ეროვნულ სოციალისტების“ ან ანარქისტთა ბანაკში გადასვლას. შემთხვევით თვით ბებელმა დაამტკიცა ეს ჩვენი მასკვრა. როცა ფოლმარი სთხოვდა, რომ სამოლოო მიზნის მიმზიდველობით ბუნდოვან სიმორეში, არ გაქრნენ აწმეოს იმედებიო, ბებელმა უპასუხა, რომ „ამგვარი ტაქტიკა დამღუშავია პარტიისათვის; პარტიის მომსრეები დაჭკვიანდნენ მხნეობას, თუ მათ ეტუკვიან, რომ სამოლოო მიზნის მიღწევა შეიძლება ძნოლოდ შორს მომავალშიო.“ ცხადია, რომ ბებელს ძალიან სუსტი რწმენა ჰქონია ისტორიულ მატერიალიზმის თეორიისა და აწინდელი საზოგადოების „თვითგარდაქმნისა“ სოციალისტურად

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება.)

აკაკის *)

(50 წლის იუბილეს გამო).

ვინც მიწაში ტალანტს არ ფლავს,
ასარგებლებს ერთს ათასად,
იგი ზეცის მუშაკია
მოვლენილი რამ ძვირფასად-
და შენც ზეცის მოვლენილსა
გულს აღგეგზნა საღვთო ალი,
ზეცის ნიჭი ქვეყნად ჰფინე,
არ დამალე არ დაფალი.
ოქროებზე არ გაცვალე
შენი წმინდა იდეალი
და სამშობლოს სიყვარულსა
შეალიე შენი ძალი.
რაც ღვთიური თესლი სთესე,
ზეცის შუქით მონაბერი,
დღეს, სამკალად შამოსულა
უცხოდ ბრწყინავს მისი ფერი.
ვით კლდისაგან ნაკადული
შადრევანად გარდამოქუხს,
და ანკარა, კი ყინული
გააგრილებს მხურვალე გულს,
ისე შენი ტკბილი ჰანგი
განუწყვეტლივ ქუხდა მარად,
და მკურნალად მოეფინა
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარად.
ჩვენი ერი, ათასწლობით
ტანჯული და ჭირნახული,
საღათას ძალს მიცემული,
მტრისგან გულ-წყლულ-დადაღული,
გააცოცხლა, გააღვიძა
შენმა ტკბილმა ჩანგის ღელვამ,
ხან ნაღვლიან მწარე კვნესამ,
ხან სევდითა მოცულ მღერამ.
არ სცხრებოდი: „ჩვენს სამშობლოს
მტერები ჰყავს ბევრიაო,
სასირცხოთ და სავალალოთ
ზოგი შინაურიაო.
ეცი მაგათ, არ დაზოგო
ჩემო ძაღლო მურიაო,
ჩემს სამშობლოს მიოხრებენ,
მათი სისხლი მწყურიაო.“
და ამგვარად ჩაახედე
სარკესავით ყველა გულში,
რომ შეერთდენ: მტერთან სამტროდ,
მოყვარესთან სიხარულში.
სატირით არ დაგიზოგავს
თუ სამ ურჩი შეგიტყვია,
შენი სიტყვა საწამლავათ
გულს ხვდებოდათ, როგორც ტყვია.
ოხუნჯური სიტყვა გქონდა,
მჭრელი, ბასრი, ალესილი,
შიგ სამსალა იხატოდა
მწარე ნაღვლით ალესილი.
კილო ცქვიტი, გრძნობით სავსე
და ცოცხალი ენა, მჩატე,
ეს თვისება შენს ნაწერებს
უკვდავ მიზნით დაუ ახე.
და ამგვარად მკითხველები
ერთი ასათ აათასე,
ახალ აზრებს შეაჩვიე,
ძველი,—ძველად დააფასე.
სუფთა ენა, ხალხოსნობა,
მამ-პაპის ზნე და წესი,
გიყვარდა, ვით ზეციანგან

*) ეს ლექსი აკაკის იუბილეზე წაკითხა თვით ავტორმა.

ნაკურთხი და განაწესი.
დიდებულად შეასრულე
სარბიელი მეტად ძნელი,
მით ქართველთა შეგიყვარეს,
როგორც მამა და მშობელი.
გცნობენ პირად, თუ არ გცნობენ
იმერი თუ აშერია,
შენი სახე და სახელი
ყველას პირზე აწერია.
ახალგაზდებს სამშობლოის
სიყვარული ჩაუნერგე.
მათ გამზრდელად იწოდები
და მით მამულს მეტად ერგე.
ათასჯერაც რომ მოევლოთ
პარნასი და კასტილია,
ლექსებს ვინც წერს ჩვენში მაინც
ყველა შენი გაზდილია.
მგოსანთ შორის დიდო მეფევ,
დღეს დასტკბი და გაიხარე,
დღესასწაულს მოგილოცავს
ჩვენი ქვეყნის ყველა მხარე.
დასტკბი გულით, დაივიწყე,
რაც კი დღემდის ცრემლი ღვარე,
შესრულდება რაც შენ გწადდა,
რაც ანდერძი დაიბარე.
შენი აზრით ვინც გამსჭვალე
და სამშობლო შეაყვარე,
იმ შენს ნაკაფ გზას გაყვება,
რომელ გზითაც შენ იარე.
დამშვიდდი, რომ ქართველთ კერას
ვერ შეარყევს მტერთა გრგვინვა
და მათ გულში შენს სიყვარულს
ვით ხატი ექმნება ბინა.

რ. საჯავახოელი.

კვირიდამ კვირამდე.

საეპარქიო სტამბის დაარსების საჭიროების საკითხმა ერთხელ კიდევ წამოჰყო თავი იმერეთის სამღვდელოების რწმუნებულთა უკანასკნელ კრებაზე. ყველამ საჭიროდ სცნო სტამბის დაარსება. ასე გასინჯეთ დეკ. ღ — მაც კი ვერაფერი სთქვა მის შეტი, რომ სამღვდელოებამ გაუშვა სტამბის დაარსების საუკეთესო წამებიო მაშინ, როდესაც კრებამ რვა ათასი მანეთი გადასდო ამ საქმისთვისო. რაიცა შეეხება დანარჩენ რწმუნებულებს, ყველამ ფეხზე წამოდგომით განაცხადა თავის სრული თანხმობა აღძრულ საკითხის სასურველად დაბოლოებისა, გარდა უ. თავმჯდომარისა, რომელიც ამ დროს, თანამდებობისამებრ, იჯდა. მრავალი სხვა და სხვა წყაროები უჩვენეს საქმის დასაწყებად, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი გადაწყვიტეს, რადგან საკითხი ბოლოს მოექცა, როცა სხვა ჟურნალები უკვე ხელმოსაწერად დამზადებული იყო. რაიცა შეეხება წინანდელ კრების ნაჩვენებ წყაროს, იქიდგან ერთი ყლაპი წყალიც ალარ დარჩენილა და კიდეც რომ დარჩენილიყო, მაინც არ დაგვალევინებდენ.

ამ განხეთქილების ვაშლსაც, რომ თავი დავანებოთ, კრებამ მაინც სასურველად და დროის შესაფერად ვერ ჩაიარა. სამღვდელოებას არაფერი ულაპარაკნია თავის დღევანდელ მდგომარეობაზე და არც იმაზე, თუ რა მართებს შემდეგში, რომ შესაფერი ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში და აღადგინოს თავის დაკარგული გავლენა სამწყსოზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამღვდელოებას ჯერ კიდევ არ გაუთვალისწინებია თავის საშინელი მდგომარეობა. ვერ მიმხვდარა თავის სუსტ მხარეებს და მაშასადამე არც ფიქრობს ნაკლის შევსებას, შეცდომის გასწორებას და სწორ გზაზე დადგომას. ამ მხრივ გურია-სამეგრელოს სამღვდელოების რწმუნებულთა კრებამ მეტი უნარი გამოიჩინა და შესაფერი რეზოლიუციებიც მიიღო, რასაც მკითხველი ზემოთ წაიკითხავს. ცუდი არ იქნება, რომ იმერეთის სამღვდელოება საბლალოჩინო კრებებზე მაინც გასწორებდეს თავის შეცდომას.

—

14 დეკემბრის სამღვდელოების რწმუნებულთა კრებამ იმერეთის სამღვდელოების სახელით საიუბილო ადრესი მიართვა აკაკის და სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი მიუძღვნა შესაფერი წარწერით.

ვარსკვლავი წმიდის სიყვარულისა.

(რუსულიდგან)

აღმოსავლეთის ცის კიდის პირსა
აენთო სწორეთ ამ საათს ისა!
აენთო იგი ბნელსა ღამესა
ვარსკვლავი წმინდის სიყვარულისა,
ღვთის სადიდებლად, ხალხთა სახსნელად,
როდესაც იშვა ძე ღვთის-მშობლისა!
დეე ანათოს, ვით წინეთ, ეხლაც
და იციმციმოს იმან ცაშია
გაბნეულთათვის უდაბნოებში
და ჩაკარგულია უფსკრულ ზღვაშია!
დეე იზიდოს მშვიდ იმედითა,
ვინაც რომ ბედით დაჩაგრულია,
სული აღუნთოს სიყვარულითა
სხივით დაუთბოს იმათ გულია!

იმერელი.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჯედლიძე.**

გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება ავტორთან „შინაური საქმეების“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი

მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ. პ. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ოთხი**

ბაური.

1909 წლის განმავლობაში სარწმუნოებრივ საზოგადოებრივი ჟურნალი

„შინაური საქმეები“

გამოვა შემდეგი პროგრამით:

წერილები საღვთისმეტყველო, პოლიტიკურ, ეკონომიურ სოციალურ საკითხების შესახებ. ქართული მწერლობა საღვთისმეტყველო და საერო. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. კორრესპონდენციები და შენიშვნები. ახალი ამბები, ტელეგრამები და სხვა.

წლიური ფასი 4 მანეთი.

ჩვენის მოწერა შეიძლება:

ქუთაისში რედაქტორთან (Казаковск., № 17), თბილისში გამომცემელ იოსებ ლეჟავასთან (Армян. базаръ), ფოთში ივანე სუხაშვილთან (არქიერის სასახლე), საჩხერეში მასწ. იასონ ღამბაშიძესთან, ჭიათურაში მღვდ. ბეს. ვაშაძესთან, დუშეთში მღვ. ნ. კანდელაკთან.

წლიური ფასის განაწილება შეიძლება ასე:

თავიდგან ორი მანეთი, და ივნისის დამდეგს ორი მანეთი.

ნახევარი წლით გაზეთი ღირს ორ მანეთ ნახევარი.

იბეჭდება 15 იანვრიდგან

გამოვა ვრცელი სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის „ძველი აღთქმა“ დეკ. ნ. ეუბანეიშვილისა ფასი **50** კ.